



ლიცენზიის მადიებელი:

შპს "საფინანსო კლუბი ტორადაო ქუთაისი"

საპალანსო უწყისი	31.12.2020	31.12.2019
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	250	14 383
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება		
ჯგუფის სანარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება	37 883	37 883
სხვა დებიტორული დავალიანება	5 226	29 031
საგადასახადო აქტივები		
მატერიალური მარაგები	10 596	
სხვა მიმდინარე აქტივები	4 477	87 197
მთლიანი მიმდინარე აქტივები	58 432	168 494
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	90 286	101 037
არამატერიალური აქტივები - მოთამაშეები		
არამატერიალური აქტივები - სხვა	3 405	4 368
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება		
ჯგუფის სანარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება		
საგადასახადო აქტივები		
ინვესტიციები		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები	93 690	105 404
მთლიანი აქტივები	152 122	273 899
მიმდინარე ვალდებულებები		
ბანკის ოვერდრაფტები		
ბანკის და სხვა სესხები	1 000	921 460
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება		
ჯგუფის სანარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება		
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	908 720	1 755 255
საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება	317 773	438 843
დარიცხული ვალდებულებები და გადავადებული შემოსავალი		339 144
მოკლევადიანი ანარიცხები		
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	179 135	80 249
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	1 406 627	3 534 951
გრძელვადიანი ვალდებულებები		
ბანკის და სხვა სესხები		
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება		
ჯგუფის სანარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება/სესხები		
თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებები		
საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება		

ლიცენზიის მფლობელი:

შპს "საფინანსო კლუბი ტორგადო ქუთაისი"

საბალანსო უწყისი	31.12.2020	31.12.2019
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		
გრძელვადიანი ანარიცხები		
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
სულ ვალდებულებები	1 406 627	3 534 951
მთლიანი აქტივები / (ვალდებულებები)	(1 254 505)	(3 261 052)
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო/სანესდებო კაპიტალი	3 844 718	3 844 718
გაუნანილებელი მოგება	(5 099 223)	(7 105 770)
სხვა რეზერვები		
მთლიანი საკუთარი კაპიტალი	(1 254 505)	(3 261 052)
მთლიანი საკუთარი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები	152 122	273 899
კონტროლი (მთლიანი აქტივები = მთლიანი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები)	TRUE	TRUE
მთლიანი კაპიტალის შესაბამისობის შემოწმება		
მთლიანი საკუთარი კაპიტალის საწყისი ბალანსი	(3 261 053)	(615 014)
პერიოდის მოგება/(ზარალი) დივიდენდების შემდგომ	2 006 548	(3 756 988)
კაპიტალის გაზრდა/კონტრიბუცია საკუთარ კაპიტალში		1 001 250
ცვლილება გადაფასების რეზერვში		109 699
სხვა მოძრაობები საკუთარ კაპიტალში/რეზერვებში პერიოდის განმავლობაში		
მთლიანი საკუთარი კაპიტალის საბოლოო ბალანსი	(1 254 505)	(3 261 052)
შემოწმება	TRUE	TRUE
მოთამაშეთა რეგისტრაციის დანახარჯები		
დაგროვილი დანახარჯი პერიოდის დასაწყისში	1 063 744	1 033 557
პერიოდის განმავლობაში გაწეული დანახარჯი		30 187
დაგროვილი დანახარჯის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად		
დაგროვილი დანახარჯი პერიოდის ბოლოს	1 063 744	1 063 744
მოთამაშეთა რეგისტრაციის ამორტიზაცია		
დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის დასაწყისში	1 063 744	789 614
პერიოდის ამორტიზაციის დარიცხვა	-	239 139
დაგროვილი ამორტიზაციის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად		34 991
გაუფასურების ანარიცხები პერიოდში	-	-
დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის ბოლოს	1 063 744	1 063 744
ნეტო საბალანსო ღირებულება		



კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
საგაღმისო უწყისი



ლიცენზიის მაძიებელი:

შპს "საფინანსო კლუბი ტორპედო ქუთაისი"

საგაღმისო უწყისი	31.12.2020	31.12.2019
პერიოდის დასაწყისში	-	243 943
პერიოდის ბოლოს	-	-
შემოწმება	TRUE	TRUE

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და
სანქცირირებულია გამოსაცემად

[თარიღი]-
თვის: 31.03.2021

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):

აღმასრულებელი დირექტორი: ჯამბული ზელაძე

თარიღი: 31.03.2021



საქმიანობის შედეგების ანგარიშგება (მოგება-ზარალი)

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან



ლიცენზიის მადიებელი:

შპს "საფეხბურთო კლუბი ტორგაფო ქუთაისი"

მოგება-ზარალის უწყისი	31.12.2020	31.12.2019
ამონაგები ბილეთებიდან - ეროვნული შეჯიბრებები		
ამონაგები ბილეთებიდან - უეფას შეჯიბრებები		804
ამონაგები ბილეთებიდან - აბონემენტები		
ამონაგები ბილეთებიდან - სანეწროები		
ამონაგები ბილეთებიდან - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი		
სულ ამონაგები ბილეთებიდან	-	804
სპონსორობა და რეკლამა - დამამზადებელი/მწარმოებელი სპონსორი		
სპონსორობა და რეკლამა - ძირითადი სპონსორი		
სპონსორობა და რეკლამა - სტადიონის სპონსორი		
სპონსორობა და რეკლამა - რეკლამები მოედნის პერიმეტრზე და დაფებზე	12 138	232 922
სპონსორობა და რეკლამა - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი		17 733
სულ სპონსორობა და რეკლამა	12 138	250 655
ტელეტრანსლაციის უფლებები - ეროვნული შეჯიბრებები		
ტელეტრანსლაციის უფლებები - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი		
სულ ტრანსლაციის უფლებები	-	-
კომერციული - ეროვნული შეჯიბრებები		
კომერციული - საქონლის გაყიდვა		260 032
კომერციული - ინფრასტრუქტურის გამოყენება არასამატჩო დღეებში		
კომერციული - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი		4 100
სულ კომერციული	-	264 132
უეფას საკლუბო შეჯიბრებები - ტრანსლაციის უფლებები, კომერციული, საპრიზო ფონდი/თანხები	369 037	822 800
უეფას საკლუბო შეჯიბრებები - სოლიდარობის გადასახადი	175 497	90 450
უეფას სოლიდარობა და საპრიზო, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი		
სულ უეფას სოლიდარობის და საპრიზო თანხა	544 534	913 250
სუბსიდიები, შემონირულობები და სხვა თანხები ეროვნული საფეხბურთო ორგანოებიდან	5 600	7 725
სუბსიდიები, გრანტები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან	1 818 290	2 085 466
შემონირულობები არადაკავშირებული მხარეებისგან		
შენატანები/შემონირულობები დაკავშირებული მხარეებისგან	2 314 351	8 600
შემოსავალი არასაფეხბურთო საქმიანობებიდან		
განსაკუთრებული (გამონაკლისი) შემოსავალი		
სხვა საოპერაციო შემოსავალი, რომელიც ცალკე არა არის გამოყოფილი	16 128	1 800
სულ სხვა შემოსავალი	4 154 368	2 103 591
სულ შემოსავალი	4 711 030	3 290 728
რელიზებული პროდუქციის/მასალების ხარჯები, რომლებიც ცალკე არ არის გამოყოფილი		
სულ ხარჯები რელიზებულ პროდუქციაზე/მასალებზე	-	-



კლუბის ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
მოგება-ზარალის უწყისი



ლიცენზიის მადიებელი:

შპს "საფეხურთო კლუბი ტორაქო ქუთაისი"

მოგება-ზარალის უწყისი	31.12.2020	31.12.2019
ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება	(537 332)	(1 903 083)
ფეხბურთელები - გადასახადები და სოციალური შენატანები	(199 038)	(495 176)
ფეხბურთელების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი	(161 828)	(42 731)
სულ ფეხბურთელების მომსახურების ხარჯები	(898 198)	(2 440 990)
სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება	(665 923)	(2 193 259)
სხვა თანამშრომლები - გადასახადები და სოციალური შენატანები	(192 933)	(549 688)
სხვა თანამშრომლების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი	(3 051)	(4 509)
სულ სხვა თანამშრომლების მომსახურების ხარჯები	(861 906)	(2 747 457)
თანამშრომლების მომსახურების ხარჯები, რომლებიც ცალკე არა არის გამოყოფილი		
სულ თანამშრომლების მომსახურების ხარჯები	(1 760 104)	(5 188 447)
ძირითადი საშუალებების ცვეთა	(34 265)	(65 534)
სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციისა)	(1 092)	(1 092)
ძირითადი საშუალებების და სხვა არამატერიალური აქტივების გაუფასურება		
სულ ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციებისა)	(35 357)	(66 626)
მატჩის დღის ხარჯები	(151 979)	(83 957)
სპონსორობისა და რეკლამირების ხარჯები		
კომერციული აქტივობების ხარჯები		
უძრავი ქონებისა და სათავსოების ხარჯები		
არასაფეხურთო საქმიანობების ხარჯები		
განსაკუთრებული (გამონაკლისი) ხარჯები		(34 752)
სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი	(665 635)	(1 293 604)
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	(817 614)	(1 412 312)
სულ საოპერაციო ხარჯი (ფეხბურთელების რეგისტრაციის გარეშე)	(2 613 076)	(6 667 386)
გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (ფეხბურთელების რეგისტრაცია)		(239 139)
გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაუფასურება (ფეხბურთელების რეგისტრაცია)		
მოგება გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია)		
ზარალი გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია)		
წმინდა შედეგი ფეხბურთელების გაყიდვებიდან		
კაპიტალიზაციისა და ამორტიზაციის მეთოდის გამოყენებით	-	(239 139)
მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან/გასვლიდან		(65 229)
მოგება/(ზარალი) სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან		
სულ მოგება/(ზარალი) გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან	-	(65 229)
ფინანსური შემოსავალი	4 477	2 883
ფინანსური ხარჯი	(72 225)	(156 498)



კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
მოგება-ზარალის უწყისი



ლიცენზიის მადიებელი:

შპს "საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისი"

მოგება-ზარალის უწყისი	31.12.2020	31.12.2019
წმინდა ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)	(67 748)	(153 614)
სხვა შემოსავალი (არასაოპერაციო)		
სხვა ხარჯი (არასაოპერაციო)	(20 562)	(174 420)
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)	(20 562)	(174 420)
საგადასახადო შემოსავალი/(ხარჯი)	(3 108)	10 367
მოგება/(ზარალი) დაბეგვრის შემდეგ	2 006 548	(3 756 988)
დივიდენდები		
მოგება/(ზარალი) დივიდენდების შემდეგ	2 006 548	(3 756 988)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და [თარიღი]-
სანქციონირებულია გამოსაცემად თვის: 31.03.2021

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ დანამდებობა და გინაობა):

აღმასრულებელი დირექტორი: ჯამბულო მელაძე თარიღი: 31.03.2021



ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან



ლიცენზიის მადიებელი:

შპს "საფეხბურთო კლუბი ტორპედო კუთაისი"

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი	31.12.2020	31.12.2019
წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან	(1 291 653)	(1 457 702)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფეხბურთელების რეგისტრაციების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები		260 032
მოთამაშეთა რეგისტრაციების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები		
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები		135 415
ძირითადი საშუალებების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები	(27 746)	(14 083)
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან, რომელიც არ არის ცალკე გამოყოფილი	2 297 951	
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან	2 270 205	381 364
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - მენილგები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე		
(გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - მენილგები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე	(300 000)	
მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - საფინანსო დაწესებულებები		1 294 500
(გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - საფინანსო დაწესებულებები	(678 685)	(1 230 120)
სააქციო/საწესდებო კაპიტალის გაზრდით მიღებული ფულადი სახსრები		1 001 250
(გადახდილი) ფულადი სახსრები მენილგების/აქციონერების დივიდენდების გადახდიდან		
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი		
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან	(978 685)	1 065 630
სხვა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა)	(14 000)	
წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საანგარიშგებო პერიოდში	(14 133)	(10 708)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების რეკონსილაცია		
საანგარიშგებო პერიოდის საწყისი ბალანსი	14 383	25 091
წმინდა ფულადი ნაკადები საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში	(14 133)	(10 708)
საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ბალანსი	250	14 383
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გამოკლებული ბანკის ოვერდრაფტები (საბალანსო უწყისიდან)	250	14 383

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქცირებულია გამოსაცემად

[თარიღი]-
თვის: 31.03.2021

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):

აღმასრულებელი დირექტორი: ჯამბულო მელაძე

თარიღი: 31.03.2021



ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

შენიშვნა 1: კლუბის შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისი“ („კლუბი“) დაფუძნდა 2008 წლის 8 ივლისს ქალაქ ქუთაისში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლუბის მფლობელი იყო შპს „ინტერნეიშენალ სოქარ ჰაუს“-ი. 2019 წლის 23 დეკემბერს კლუბი მმართველობაში გადაეცა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს.

კლუბის იურიდიული და ფაქტიური მისამართია: ქ. ქუთაისი, აკაკი ხორავას #1.

კლუბის ძირითად მიზანს წარმოადგენს ფეხბურთის პოპულარიზაცია დ მისი განვითარების ხელშეწყობა, სპორტული ღონისძიებების შემუშავება, ორგანიზება, ჯანსაღი თაობის აღზრდა. კლუბის შემადგენლობაშია როგორც პროფესიონალური ასევე ახალგაზრდული გუნდები. კლუბი ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარებისთვის აყალიბებს საფეხბურთო სკოლა-აკადემიას და უზრუნველყოფს ბავშვთა გუნდების მონაწილეობას სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში.

შენიშვნა 2: საადრეგვო პოლიტიკა

• მომზადების საფუძველი

კლუბი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისად. წარმოდგენილი „სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება“ მომზადებულია ამ ბუღალტრული ჩანაწერების საფუძველზე და საჭიროებისამებრ კორექტირებულია იმგვარად, რომ დააკმაყოფილოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) აღიარების, შეფასების და წარდგენის პრინციპები და მოთხოვნები.

წარმოდგენილი „სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება“ არ მოიცავს ყველა იმ ახსნა-განმარტებით შენიშვნას, რომელიც შესაძლოა მოთხოვნილი ყოფილიყო ფასს-ის მიხედვით.

წარმოდგენილი „სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება“ მომზადდა დარიცხვისა და ისტორიული ღირებულების პრინციპების გამოყენებით.

• ფინანსური ანგარიშგების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა

ორგანიზაციის საოპერაციო და საადრეგვო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი

• უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 2020 წლის 31 დეკემბრისთვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთი იყო:

	დეკემბერი 31, 2020	დეკემბერი 31, 2019
ლარი / 1აშშ დოლარი	3.2766	2.8677
ლარი / 1 ევრო	4.0233	3.2095

• ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ბანკში არსებული ფულადი სახსრებისგან.

შენიშვნა 2: საადრიცხო პოლიტიკა (გაგრძელება)• **ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები მოცემულია - ისტორიული ღირებულებას გამოკლებული ცვეთა. ისტორიული ღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს. ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით მთელი სასარგებლო მოსამსხურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

აქტივების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ოფისის აღჭურვილობა	5-10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი

ძირითადი საშუალებების გაყიდვა/ჩამოწერასთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი დგინდება ნარჩენ ღირებულებაზე დაყრდნობით და გაითვალისწინება მიმდინარე შედეგის განსაზღვრისას. ძირითადი საშუალებების მომსახურების ხარჯები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ხარჯების გაწევის მომენტში.

• **შემოსავალი და დარიცხვები**

კლუბის შემოსავლების ძირითადი წყაროებია: შემოსავალი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან, შემოსავალი ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან, შემოწირულობები, შემოსავალი სპონსორებიდან და სხვა შემოსავლები;

დაფინანსება / სუბსიდია - მიღებული დაფინანსებასთან/სუბსიდიასთან დაკავშირებული შემოსავლების აღიარება ხდება დაფინანსებით/სუბსიდიით დასაფარავი დანახარჯების ან ხარჯების აღიარების პროპორციულად, ისე რომ უზრუნველყოფილ იქნას მიღებული დაფინანსებით/სუბსიდიით დასაფარავი ხარჯებისა და შემოსავლების შესაბამისობა.

შემოწირულობა - შემოწირულობის სახით მიღებული ფულადი აქტივი შემოსავლად აღიარდება მისი მიღებისთანავე;

სხვა შემოსავალი - სხვა შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც ის მისაღები გახდება გაწეული მომსახურების შედეგად;

შენიშვნა 3. გარემო და ფუნქციონირებადი საწარმო

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველომ განიცადა სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები. როგორც განვითარებად ბაზარს, საქართველოს არ გააჩნია კარგად განვითარებული კომერციული ინფრასტრუქტურა, რომელიც ზოგადად უფრო განვითარებულ ბიზნეს ბაზარზე არსებობს. კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენენ ქვეყანაში მოქმედ ბიზნესებზე ექვემდებარება სწრაფ ცვლილებას. გარდა ამისა, ეკონომიკური სტაბილურობის გაგრძელება დამოკიდებულია მეტწილად მთავრობის მიერ მიღებულ ფისკალურ ზომების ეფექტურობაზე, საერთაშორისო საკრედიტო ორგანიზაციების გადაწყვეტილებებზე და ორგანიზაციის კონტროლს მიღმა სხვა ქმედებებზე.

2016 წლის თებერვლის თვიდან, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ შეიმუშავა ფეხბურთის განვითარების ხუთწლიანი პროგრამა, რომელშიც გაწერილია ყველა ის მიმართულება და პროექტი, რის განვითარებასაც გეგმავს სფფ. აღნიშნული პროგრამა დაამტკიცა საქართველოს მთავრობამ. ახალი ინიციატივის მიხედვით, შეიქმნა „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი“, რომელიც განკარგავს სახელმწიფო თანხებს შესაბამისი მიზნობრიობის გათვალისწინებით. ამგვარად, კლუბისთვის სახელმწიფო თანხებიდან დაფინანსების გამოყოფა მოხდება სწორედ ფონდის მეშვეობით. ფეხბურთის განვითარების ფონდის ძირითადი ამოცანებია: კლუბების დაფინანსების სისტემის მოწესრიგება, კერძო ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირება, საფეხბურთო განათლების დონის ამაღლება, ბავშვთა სკოლების საქმიანობის სტრუქტურირება, მოზარდი ფეხბურთელების რაოდენობის გაზრდა. 2016-2020 წლების ფეხბურთის განვითარების გეგმის მიხედვით ჩამოყალიბდა დაფინანსების ახალი პრინციპები, კერძოდ შეიქმნა: საბაზისო კალათა, ქულების საპრემიო კალათა, ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირების კალათა და საპრიზო კალათა.

შენიშვნა 3. გარემო და ფუნქციონირებადი საწარმო (გაგრძელება)

2016 წლის ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად თანხების გადანაწილება გუნდებზე 2017-2020 წლების ჩემპიონატზე მოხდება დადგენილი კალათების მიხედვით (მათ შორის პრემიალური, საპრიზო და ა.შ) კერძოდ:

პროფესიული ლიგა 1 -სთვის კალათა შეადგენს 1,000,000 ლარიდან 3,344,444 ლარამდე;

პროფესიული ლიგა 2 -სთვის კალათა შეადგენს 700,000 ლარიდან 1,772,222 ლარამდე.

2017 წლის 1 ივნისის საქართველოს მთავრობის დადგენილება #268-ის მიხედვით საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2020 წწ.) სახელმწიფო პროგრამაში განხორციელდა ცვლილება, კერძოდ მოხდა პროგრამის გადგრძელება 2021 წლამდე. ამავე დადგენილებით 2016-2021 წლებში პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსებისათვის საჭირო თანხა განისაზღვრა 211,126,949 ლარის ოდენობით.

შენიშვნა 4. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულის ეკვივალენტები მოიცავს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საფეხბურთო კლუბის საბანკო ანგარიშზე არსებული ფულის ნაშთს ეროვნულ ვალუტაში (ლარში) – 250 ლარი (2019: 14,383 ლარი).

შენიშვნა 5. ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლუბის ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება წარმოადგენს დამფუძნებელ კომპანიაზე გაცემულ სესხს - 37,383 ლარს (2019: 37,383 ლარი).

შენიშვნა 6. სხვა დებიტორული დავალიანება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლუბის სხვა დებიტორული დავალიანება მოიცავს გადახდილ საავანსო თანხებს - 5,226 ლარს (2019: 29,031 ლარი).

შენიშვნა 7. ძირითადი საშუალებები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები მოიცავს ავტომობილების, კომპიუტერების, კომუნიკაციის საშუალებებისა და სხვა საოფისე აღჭურვილობის საბალანსო ღირებულებას 90,286 ლარის ოდენობით. (2019 წელი: 101,037 ლარი).

შენიშვნა 8. არამატერიალური აქტივები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლუბის არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფას - 3,405 ლარს, ხოლო 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფას - 4,368 ლარს.

შენიშვნა 9. ბანკის და სხვა სესხები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლუბმა დაფარა სს ვითიბი ბანკ ჯორჯიასა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართ მოკლევადიანი სესხები. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლუბის ბანკის და სხვა სესხები მოიცავს ფ/პ ჯამბული მელაძის მიმართ სასესხო ვალდებულების თანხას (1,000 ლარი).

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის და სხვა სესხები (921,460 ლარი) მოიცავს მოკლევადიან სესხს ვითიბი ბანკში (620,460 ლარი), ხელშეკრულებით განსაზღვრული სესხის დაფარვის ვადა: 2020 წლის 3 იანვარი, მოკლევადიან სასესხო ვალდებულებას ააიპ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართ (300,000 ლარი, ხელშეკრულებით სესხის დაფარვის ვადა: 2020 წლის 30 დეკემბერი) და ფ/პ ჯამბული მელაძის მიმართ (1,000 ლარი).

შენიშვნა 10. საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება

2020 წლის 31 დეკემბრისთვის კლუბის საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება შეადგენს 317,773 ლარს (2019 წელს 438,843 ლარი).

საპენსიო სქემა - 2018 წლის 21 ივნისს საქართველომ მიიღო კანონი საპენსიო ფონდის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. დაგროვებითი საპენსიო სქემა 6%-იან შენატანს ითვალისწინებს. კერძოდ, დასაქმებული თავისი დასაბეგრი ხელფასის 2%-ს გადარიცხავს ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე, დამსაქმებელი ასევე გადარიცხავს დამატებით 2%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადარიცხება კიდევ 2%, როგორც დამსაქმებელი, ორგანიზაცია გადარიცხავს 2%-ს თავის მხრივ და ეს გადასახადები მოცემულია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შენიშვნა 11. საწესდებო კაპიტალი

2020 წლის 31 დეკემბრისთვის კლუბის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 3,844,718 ლარს (2019 წელი: 3,844,718 ლარი).

შენიშვნა 12. სპონსორობა და რეკლამა - ძირითადი სპონსორი

სპონსორობა და რეკლამა - ძირითადი სპონსორი მოიცავს შემოსავალს სპონსორობიდან 12,138 ლარის ოდენობით. (2019 წელი: 232,922 ლარი).

შენიშვნა 13. საკლუბო შეჯიბრებები ტრანსლაციის უფლებები, კომერციული, საპრიზო ფონდი/თანხები; უეფას სოლიდარობა და საპრიზო, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი

საკლუბო შეჯიბრებები ტრანსლაციის უფლებები, კომერციული, საპრიზო ფონდი/თანხები და უეფას საკლუბო შეჯიბრებები - სოლიდარობის გადასახადი მოიცავს უეფა-დან მიღებულ თანხებს 544,534 ლარი (2019 წელი: 913,250 ლარი).

შენიშვნა 14. სუბსიდიები, გრანტები ან სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისაგან;

სუბსიდიები, გრანტები ან სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისაგან მოიცავს ფეხბურთის განვითარების ფონდიდან ჩარიცხულ თანხებს ეროვნულ ვალუტაში.

შენიშვნა 15. შენატანები/შემოწირულობები დაკავშირებული მხარეებისგან.

შენატანები/შემოწირულობები დაკავშირებული მხარეებისგან ძირითადად მოიცავს შპს ქოფიძასგან მიღებულ დაფინანსებას 2,297,951 ლარის ოდენობით. (2019 წელი: 0 ლარი).

შენიშვნა 16. ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება

ფეხბურთელები - ხელფასი და ჯამაგირი შედგება ფეხბურთელების ანაზღაურებისგან.

შენიშვნა 17. სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება

სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ჯამაგირი მოიცავს ფეხბურთელების გარდა კლუბის სხვა თანამშრომლების ანაზღაურებას.

შენიშვნა 18. მატჩის დღის ხარჯები

მატჩის დღის ხარჯები ძირითადად მოიცავს: კლუბის მივლინების ხარჯებს, ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯებს, სამედიცინო მომსახურების ხარჯებს, სპორტული ინვენტარის ხარჯებს.

შენიშვნა 19. უძრავი ქონების და სათავსოების ხარჯები

უძრავი ქონების და სათავსოების ხარჯები ძირითადად მოიცავს 2019 წლის მოედნის იჯარის თანხას.

შენიშვნა 20. სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი

სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი მოიცავს საწევრო გადასახადს და მწრთვლენთა ლიცენზირების ხარჯებს.

შენიშვნა 21: ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საქმიანობის ნორმალურ პირობებში კლუბი ტრანზაქციებს ახორციელებს ურთიერთდაკავშირებულ მხარეებთან.

ზოგადად, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ ტრანზაქციებთან და ნაშთებთან დაკავშირებით დეტალები ქვემოთ მოცემულ ცხრილებშია წარმოდგენილი.

2020 წელი	ხელფასის და პრემიის ხარჯი
კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობა	73,045
ჯამი:	73,045

31 დეკემბერი 2020	გადასახდელი სესხი
კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობა	1,000
ჯამი:	1,000

2019 წელი	ხელფასის და პრემიის ხარჯი
კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობა	284,907
ჯამი:	284,907

31 დეკემბერი 2029	გადასახდელი სესხი
კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობა	1,000
ჯამი:	1,000

შენიშვნა 22: ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

- სასამართლო დავები**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო და დავების განმხილველი კომიტეტის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ფეხბურთელებთან და თანამშრომლებთან 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ სახელფასო დავალიანებებთან მიმართებაში. რის შედეგადაც, 2020 წლის 23 დეკემბრის მდგომარეობით, თითოეულ მოსარჩელე პირსა და კლუბს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება თანხის ოდენობასა და გადახდის გრაფიკთან დაკავშირებით.

FIFA-ს დავების განმხილველი პალატის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ვანია მარკოვიჩთან 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ სახელფასო დავალიანებასთან მიმართებაში, რის შედეგადაც ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღისათვის კლუბსა და ფეხბურთელს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება თანხის ოდენობასა და გადახდის გრაფიკთან დაკავშირებით.

შენიშვნა 22: ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კლუბი არ ყოფილა ჩართული სხვა რაიმე ტიპის სასამართლო დავაში.

შენიშვნა 23: საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წლის 7 თებერვალს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის, იმერეთის სახელმწიფო რწმუნების ადმინისტრაციასა და ფაბიო მანიოს („ინვესტორი“) შორის გაფორმდა ურთიერთშეთანხმების აქტი კლუბის 100% წილის ინვესტორზე გასხვისების შესახებ. ურთიერთშეთანხმების აქტის მიხედვით ინვესტორი კლუბის მმართველობაში გადაცემისთანავე იღებდა ვალდებულებას კლუბის სახელფასო და სხვა ვალდებულებების დაფარვასა და დამატებითი ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებით.

კლუბის მენეჯმენტის განმარტებით, კლუბის მესაკუთრეს, ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას, უნდა გადაეცა კლუბი პოტენციური ინვესტორის - შპს „კოფიმა“-სთვის, თუმცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 2020 წლის განმავლობაში არ მომხდარა კლუბის გადაცემა შპს „კოფიმა“-სთვის.

2020 წლის 24 ნოემბრის, მიქელე ფურლანის („პოტენციური ინვესტორი“), ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტთან მიმართვის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის საპასუხო წერილიდან (#44-442033886), დგინდება, რომ იცვლება პოტენციური ინვესტორის წარმომადგენელი და “შპს კოფიმა“-ს (ს/ნ 405358731) ნაცვლად, იქნება შპს „არგონავტიკა“ (ს/ნ 406318364), რომლის 100%-იანი წილის მფლობელი და დირექტორი, მარციო მალავენტურასთან ერთად, არის მიქელე ფურლანი.

2021 წლის ბოლომდე კლუბი მიიღებს შპს „არგონავტიკა“-დან მინიმუმ 1,700,000 ლარს (ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი წლიური ვალდებულება), ამასთან შპს „არგონავტიკა“ ვალდებულია ყოველწლიურად კლუბის განვითარებისთვის დახარჯოს დამატებით მინიმუმ 500,000 ლარი.

ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღისათვის, #44-442033886 წერილის საფუძველზე, კლუბმა მიიღო 621,128 ლარი შპს „არგონავტიკა“-დან.

2021 წლის 25 იანვრის მდგომარეობით, კლუბმა სრულად დაფარა 2020 წლის 23 დეკემბრის შეთანხმებით განსაზღვრული და ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღისათვის ივან ბოზკოსთან დაკავშირებული სახელფასო დავალიანებები. (შენიშვნა 22).

ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის მიერ საფეხბურთო კლუბები საქართველოში ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად 2021 წლის ბოლომდე კლუბები დაფინანსდებიან შემდეგი სახით:

ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის მიერ საფეხბურთო კლუბები საქართველოში ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად 2021 წელს ეროვნულ ლიგაში ასპარეზობის შემთხვევაში დაფინანსდებიან საბაზისო დაფინანსებით - 700,000 ლარი, ხოლო, ეროვნულ ლიგა 2-ში ასპარეზობის შემთხვევაში, საბაზისო დაფინანსებით - 500,000 ლარი. ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის კლუბისთვის არ არის ცნობილი ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდისგან 2021 წელს მისაღები პრემიალური და საპრიზო ფონდის შესახებ.

2020 წლის დასაწყისში მსოფლიო დადგა მწვავე ვირუსული დაავადების კორონავირუსის („COVID-19“) გავრცელების საფრთხის წინაშე. 2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსთან დაკავშირებით პანდემია გამოაცხადა. მსოფლიოსა და საქართველოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა რიგი ღონისძიებები, მათ შორის გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი რომელთაც შეზღუდეს კლუბის ყოველდღიური საქმიანობა.

2020 წლის 11 მარტს მსოფლიოში და ქვეყანაში კორონავირუსთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ (სფფ) მიიღო გადაწყვეტილება, სფფ-ის ეგიდით გამართული ყველა ჩემპიონატის, მათ შორის, კრისტალბეთ ეროვნული ლიგის, კრისტალბეთ ეროვნული ლიგა 2-ის, ლიგა 3-ის, ასევე ასაკობრივი ჩემპიონატების 1 აპრილამდე შეჩერების თაობაზე. თავდაპირველად აღნიშნული ჩემპიონატის შეჩერების გადაწყვეტილება სფფ-მ 11 მარტს სამ კვირიანი ვადით მიიღო, თუმცა მსოფლიოში შექმნილი ვითარების გამო აღნიშნული ვადა შესაბამისად გაგრძელდა.

შენიშვნა 23: საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები (გაგრძელება)

კრისტალბეთ ეროვნული ლიგა მესამე ტურით 25 ივნისიდან განახლდა. ხოლო 13 ივლისიდან, ასევე მესამე ტურით განახლდა კრისტალბეთ ეროვნული ლიგა 2. ქვეყანაში არსებული რეგულაციების გათვალისწინებით, მატჩები მაყურებლის გარეშე მიმდინარეობდა.

კრისტალბეთ ეროვნული ლიგის 2021 წლის სეზონი, ყველა შესაბამისი რეგულაციის დაცვით, 27 თებერვალს განახლდა. ხოლო 2021 წლის 1 მარტიდან განახლდა კრისტალბეთ ეროვნული ლიგა 2.

გამომდინარე იქიდან, რომ ვითარება სწრაფად იცვლება, კლუბის მენეჯმენტი ვერ აკეთებს ზუსტ პროგნოზს თუ რა ეფექტი ექნება ამ მოვლენას კლუბის სამომავლო საქმიანობაზე. კლუბის შეფასებით COVID-19-თან დაკავშირებულ რისკებს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენის მოხდენა არ შეუძლია კლუბის უნარზე საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.